

საქართველოს შოთა რუსთაელის თეატრსა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი



სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი  
დისტანციური სწავლების საფაკულტეტო კონცეფცია

*განხილული და დამტკიცებულია  
ფაკულტეტის საბჭოზე #4, 2020. 04. 30.*

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სსიპ- საქართველოს შოთა რუსთაელის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დისტანციური სწავლების საფაკულტეტო კონცეფცია ეფუძნება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის წარმართვის წესს ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პირობებში.
2. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნებისთვის თანამედროვე საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებით გამოიყენება სწავლება, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტის, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელის და სხვა პერსონალის ერთდროულად ყოფნას.
3. დისტანციური სწავლება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პანდემიის, ან სხვა სახის საგანგებო სიტუაციის დროს. ასევე, სამეცნიერო და საწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნებისა და პროფესორ-მასწავლებელთა ხელშეწყობის მიზნით, მათი მივლინებაში ყოფნის პერიოდში.

### **მუხლი 2. სასწავლო პროცესი და სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ადმინისტრირება**

1. დისტანციური სწავლისთვის (სალექციო/სასემინარო, გამოკითხვის, კონსულტირებისათვის, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისათვის და ა.შ. ) შეხვედრებისთვის გამოიყენება ონლაინ კონფერენციების Google Hangout Meet (meet.google.com) პლატფორმა.
2. სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისთვის, ასევე ფაკულტეტის საბჭოს, სადისერტაციოს საბჭოს სექციების და სხვა სამუშაო შეხვედრებისთვის გამოიყენება ონლაინ კონფერენციების Google Hangout Meet (meet.google.com) პლატფორმა.

3. სტუდენტისა და ლექტორის კომუნიკაციისთვის, დასწრებისა და შულალედური შედეგების, შულალედური და ფინალური გამოცდების ქულობრივი მაჩვენებლის აღრიცხვისთვის და სხვა სასწავლო-სამეცნიერო მიზნებისთვის ფუნქციონირებას აგრძელებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - ini.ge

4. სტუდენტისა და ლექტორის, ფაკულტეტის ადმინისტრაციის, პერსონალის კომუნიკაციისთვის დასაშვებია გამოყენებულ იქნეს კომუნიკაციის სხვა ინტერნეტ საშუალებები, როგორცაა ელექტრონული ფოსტა და სოციალური ქსელები.

6. ფაკულტეტზე არ მოხდება სალექციო და საგამოცდო კვირების დამატება და საფაკულტეტო საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება დისტანციური სწავლების რეჟიმით წინასწარ განსაზღვრულ სემესტრულ ვადებში.

7. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია დისტანციური სწავლების პირობებში მოახდინონ სილაბუსების მოდიფიცირება (საჭიროების შემთხვევაში), სასწავლო კურსების სელექცია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინებით, პრაქტიკულ-თეორიული სასწავლო კურსებისთვის სწავლების ალტერნატიული ფორმებისა და მეთოდების შემუშავება და ა.შ.

8. სტუდენტებისთვის, რომლებიც ვერ ახერხებენ დისტანციურ სწავლებაში ჩართვას, რადგან არ ფლობენ კომპიუტერულ ტექნიკას, არ აქვთ ინტერნეტთან წვდომა, საკარანტიონო პერიოდის დასასრულების შემდგომ მიეცემათ ორი შესაძლებლობა, რომელთაგან თავისი სურვილისამებრ, აირჩევენ ერთ-ერთს: ა) ინტენსიურ რეჟიმში გაიარონ პროგრამა ზაფხულში; ბ) დარჩენილი კურსები გაიარონ შემდგომ სასწავლო წელს, დამატებითი გადასახადის გარეშე.

### **მუხლი 3. ელექტრონული (დისტანციური) სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა**

ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პირობებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობად განისაზღვროს:

- ა) ფაკულტეტზე უწყვეტი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა;
- ბ) შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ფაკულტეტებისათვის წარდგენა;
- დ) სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- ე) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენება - გამოკითხვების ჩატარება;
- ვ) ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პრობლემების იდენტიფიცირება და მათი დროული გადაჭრა;
- ზ) მიმდინარე ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესების ორგანიზება/წარმართვა დისტანციურ რეჟიმში.

### **მუხლი 4. საკვალიფიკაციო/ სადისერტაციო ნაშრომის დაცვა**

1. ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პირობებში საბაკალავრო და სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის ონლაინ-დაცვა არ არის რეკომენდირებული.
2. საბაკალავრო და სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომების დაცვისათვის გამოიყოს ერთი კვირა 6 ივლისიდან დაწყებულ პერიოდში.
3. ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პირობებში ფაკულტეტის მიმართულებებზე მომზადებული სადისერტაციო ნაშრომის ონლაინ-დაცვა არ არის დასაშვები. ფორს-მაჟორული ვითარებით გამოწვეული ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პერიოდში, სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილ ვადებში განსაზღვრული დისერტაციის დაცვა უნდა გადავადდეს მომდევნო სასწავლო სემესტრამდე.

## **მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციების მუშაობა**

1. ფაკულტეტის საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციების მუშაობისათვის გამოყენება ელექტრონულ პლატფორმა Google Hangout Meet ([meet.google.com](https://meet.google.com));
2. საბჭოს/სექციის წევრებისთვის ელ.ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნას სხდომების ჩატარების თარიღის, დროის და სხვა ინფორმაციის შესახებ უზრუნველყოფს დეკანატი;
3. შესაძლებელია საბჭოების/სექციის სხდომის ვიდეო ან/და აუდიო ჩაწერა საბჭოს თანხმობით და ოქმთან ერთად ჩანაწერის შენახვა;
4. სხდომები დაოქმდება სხდომის ელ. ფორმატში ჩატარებიდან სამი- ხუთი დღის განმავლობაში წევრებს დაეგზავნებათ სხდომის ოქმის ელ. ვერსია და მათი მხრიდან მოხდება უკუკავშირი იმავე საშუალებით.
5. თავმჯდომარეს და მდივანს, ხელმოწერა ოქმზე გაკეთდება ელექტრონული ფორმით.

## **მუხლი 6. სტუდენტისა და პროფესორის უფლებები და ვალდებულებები**

ფაკულტეტი სტუდენტისა და პროფესორის უფლებები და ვალდებულებების ნაწილში სრულიად ეყრდნობა დოკუმენტით „სსიპ- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის წარმართვის წესი ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პირობებში“ განსაზღვრულ პუნქტებს.

## **მუხლი 7. ცვლილებები და დამატებები**

1. წინამდებარე წესს განიხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო;

2. წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ ფაკულტეტის საბჭოზე წარდგინებით.